,,საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემა: დასაქმებულთა მხრიდან ნდობისა და ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა”

ქეთევან ფხალაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, განათლებისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ვაჩეიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ფხალაძე, 09.06.2026წ.

აბსტრაქტი

2019 წელს ამოქმედებული სავალდებულო საპენსიო სქემა საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეფორმას წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის გრძელვადიანი ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. თუმცა, სქემის წარმატებული განხორციელება დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ეკონომიკურ მდგრადობაზე, არამედ მოსახლეობის ნდობასა და სქემის შესახებ ინფორმირებულობაზე. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მიმართ სქემაში ჩართული მოსახლეობის ნდობის დეფიციტისა და ინფორმაციის სიმცირის შესწავლას, ასევე ამ ორ ცვლადს შორის კავშირის გამოვლენას. კვლევა ამოწმებს ჰიპოთეზას, რომლის თანახმადაც ინფორმირებულობის დაბალი დონე პირდაპირ კავშირშია სქემის მიმართ არსებულ უნდობლობასთან.

კვლევა ეფუძნება რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. მონაცემები შეგროვდა 2026 წელს, სტრუქტურირებული ონლაინ კითხვარის მეშვეობით (Google Forms). კვლევის ინსტრუმენტი შემუშავდა Urotadze et Al. (2025) და Tenhunen & Kuivalainen (2024) ვალიდირებული კითხვარების ადაპტაციის საფუძველზე. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ 18-60 წლამდე ასაკის, დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართული დასაქმებული პირები. ანალიზი განხორციელდა 177 ვალიდური რესპონდენტის მონაცემებზე. კითხვარი მოიცავდა ნდობის გაზომვას ლიკერტის 5-ბალიანი სკალით, ინფორმირებულობის სუბიექტურ თვითშეფასებასა და ობიექტური ცოდნის გამოვლენის კითხვებს.

კვლევამ გამოავლინა ნდობის კრიტიკულად დაბალი დონე ყველა გამზომ ცვლადში: ზოგადი ნდობა (M=2.53), ნდობა სახელმწიფოს მიმართ (M=2.11), ნდობა საპენსიო ფონდის მიმართ (M=2.54) და რწმენა, რომ პენსიაზე გასვლისას სრულად მიიღება დაგროვილი თანხა (M=2.48). ინფორმირებულობის მხრივ, გამოკითხულთა 46.9%-მა საკუთარი ცოდნა ცოტა ან არარსებულად შეაფასა, ხოლო სქემის საინვესტიციო შემოსავლის შესახებ

გამოკითხულთა 64.4%-ს ან არ ჰქონდა ინფორმაცია, ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდა. ობიექტური ინფორმირებულობისა და ნდობის კომპოზიტური მაჩვენებლის კორელაციამ გამოავლინა საშუალო სიძლიერის დადებითი კავშირი (r=0.367), რაც კვლევის ჰიპოთეზას ადასტურებს. უნდობლობის მთავარ მიზეზებად დასახელდა: პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა (52.0%), სახელმწიფოს მიმართ ზოგადი უნდობლობა (51.4%), გარანტიების არარსებობა (45.2%) და ინფორმაციის სიმცირე (41.2%).

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ საქართველოს დაგროვებითი საპენსიო სქემის გრძელვადიანი მდგრადობა ორ ურთიერთდაკავშირებულ გამოწვევაზეა დამოკიდებული: ინფორმაციული ხარვეზის აღმოფხვრასა და ნდობის ინსტიტუციურ გამყარებაზე. რეკომენდებულია სოციალური მედიაზე ორიენტირებული საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება, სახელმწიფო გარანტიების სისტემის შემოღება და ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საძიებო სიტყვები: დაგროვებითი საპენსიო სქემა, ნდობა, ინფორმირებულობა, საქართველო, საპენსიო რეფორმა.

Abstract

The mandatory pension scheme, which came into force in 2019, represents one of the most significant reforms of Georgia's social protection system, aimed at ensuring the long-term financial security of the population. However, the successful implementation of the scheme depends not only on its economic sustainability, but also on public trust and awareness of the scheme. The present study aims to examine the trust deficit and information gap among participants of Georgia's Funded Pension System (FPS), as well as to identify the relationship between these two variables. The study tests the hypothesis that a lower level of awareness is directly associated with higher levels of distrust toward the scheme.

The study employs a quantitative research design. Data were collected in 2026 through a structured online questionnaire (Google Forms). The research instrument was developed by adapting the validated questionnaires of Urotadze et al. (2025) and Tenhunen & Kuivalainen (2024). The target population consisted of employed individuals aged 18 to 60 who are active participants in the Funded Pension System. The analysis is based on 177 valid responses. The questionnaire measured trust using a 5-point Likert scale, subjective self-assessed awareness, and objective pension knowledge items.

The study reveals critically low levels of trust across all measured variables: general trust in the FPS (M=2.53), trust in the state (M=2.11), trust in the Pension Fund (M=2.54), and belief that accumulated savings will be received in full upon retirement (M=2.48). Regarding awareness, 46.9% of respondents rated their own knowledge as poor or non-existent, while 64.4% either lacked information or held incorrect beliefs about the investment returns accrued on pension savings. A moderate positive correlation was found between objective awareness and the composite trust indicator (r=0.367), confirming the study's hypothesis. The primary reasons cited for distrust were: political and economic instability (52.0%), general distrust in the state (51.4%), absence of guarantees (45.2%), and lack of information (41.2%).

The findings confirm that the long-term sustainability of Georgia's Funded Pension System depends on two interconnected challenges: bridging the information gap and institutionally strengthening public trust. Key recommendations include intensifying social media-oriented public awareness campaigns, introducing a state guarantee mechanism for pension savings, and improving digital infrastructure.

Keywords: funded pension system, trust, awareness, Georgia, pension reform.